MES 4 23 0001492279

03/11/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20. 10. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:15 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **სხდომის თავმჯდომარე**;
2. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

5. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
7. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
9. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ნინო ღაღანიძე - სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
12. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებულის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებ ულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	ანა სამოსანაძე	**სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	**I**
2	ნატო გენგიური		პროგრამების ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	**I**
3	დავით მახვილაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
4	ხათუნა მხეიძე			**II**

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	
5	ედიშერ კვესიტაძე		აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	**II**
6	მაია კილაძე		აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	**II**
7	აკაკი გუნცაძე	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	**II**
8	ქეთევან ლაფერაშვილი		„სურსათის უვნებლობის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
9	ნინო ლომიძე		აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
10	მამული ბუჭუხიშვილი	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახ ელმწიფოუნივერსიტეტი**	პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
11	იაგორ ბალანჩივაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
12	მაია გურგენიძე	**შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში**	რექტორი	**IV**
13	ანი დემეტრაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
14	ანა გვრიტიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	**IV**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონ ული საშუალებით მონა წილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	სარა მონიკა ბენეტი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ხათუნა ხაბულიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ანა შანშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	დარიო კომპანიონე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

7	ჟუჟა ხაჭაპურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნინო ჯავახიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ზაქარია ქიტიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია და თეორია)“ საბაკალავრო, „ხელოვნებათმცოდნეობის (ქართული ხელოვნება - კვლევა და დაცვა)“ სამაგისტრო და „სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის "სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში - "ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია და თეორია)“ საბაკალავრო, „ხელოვნებათმცოდნეობის (ქართული ხელოვნება - კვლევა და დაცვა)“ სამაგისტრო და „სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის "სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში - "ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია და თეორია)“ საბაკალავრო, „ხელოვნებათმცოდნეობის (ქართული ხელოვნება - კვლევა და დაცვა)“ სამაგისტრო და „სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია) Art History and Theory
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.11.2011, N337
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში Bachelor of Arts (BA) in Art History and Theory
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	#19 რუსთაველის პრ. თბილისი, 0108, საქართველო; #40, აღმაშენებლის პრ. თბილისი 0102,საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა) Art History and Theory (Georgian Art - Research and Preservation)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.08.2012, N283
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (პროგრამული კონცენტრაციები: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნო-ქორეოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი Master of Art History and Theory
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	#19 რუსთაველის პრ. თბილისი, 0108, საქართველო; #40, აღმაშენებლის პრ. თბილისი 0102,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) Art History and Theory Studies (Georgian Art in the Context of World Art)

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.08.2012, N288
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში; გამოცდა-გასაუბრება კომისიასთან
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ისტორიასა და თეორიის დოქტორი Doctor of Art History and Theory
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	#19 რუსთაველის პრ. თბილისი, 0108, საქართველო; #40, აღმაშენებლის პრ. თბილისი 0102,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს თინათინ ჭაბუკიანმა და ლაშა ჩხარტიშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, სარა მონიკა ბენემტმა განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა პოზიტიურ გარემოში, შედეგი გახლდათ დადებითი ვინაიდან ყველა სტანდარტი შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. პირველ სტანდარტთან მიმართებით მხოლოდ ორი კომპონენტი იყო წარმოდგენილი მეტწილი შესაბამისობით. აღინიშნა, რომ პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები წარმოადგენდა პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს და ისინი დაკავშირებული იყო ერთმანეთთან. მათი მეშვეობით ნათელი ხდებოდა თუ რის გაკეთებას შეძლებდა კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდგომ. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანი იყო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას დამატებოდა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული მიზანი, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს დამატებოდა „ანალიზი“. ექსპერტების მოსაზრებით მნიშვნელოვანი იყო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ხელახლა ფორმულირება იმისათვის, რომ შედეგებში მითითებული ყოფილიყო ინტერნაციონალიზაცია და ინტერდისციპლინური კვლევა. მნიშვნელოვანი იყო სწავლის შედეგების ფორმირების და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
საერთაშორისო ექსპერტმა, სარა მონიკა ბენეტმა განაცხადა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები გამომდინარეობდა სტუდენტის პერსპექტივიდან და გულისხმობდა მათ შეფასებას, დავალებების ორგანიზებას და მათთვის ყველა აუცილებელი უნარის გამომუშავებას. მეხუთე სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები დაკავშირებული იყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან, გულისხმობდა აკადემიური პერსონალის ჩართულობას პროცესში და გარანტიას, რომ მათ ექნებოდათ სათანადო უკუკავშირი მათ შეფასებებთან დაკავშირებით. ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ პერსონალის შეფასება დაწესებულებაში უნდა ყოფილიყო ფორმალიზებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ანა სამსონაძემ განაცხადა, რომ კომენტარს გააკეთებდა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა დასწრება/აქტივობაზე განსაზღვრულ 15 ქულას. სტუდენტის ამგვარი შეფასება გახლდათ სრულიად საუნივერსიტეტო ერთიანი კომპონენტი. პრაქტიკიდან გამომდინარე სტუდენტის დასწრება და აქტივობა ლექციაზე გახლდათ მნიშვნელოვანი. მათ ჰქონდათ მცდელობა მოეხსნათ დასწრების კომპონენტი, თუმცა აღნიშნულმა მცდელობამ არ გაამართლა. ჯგუფები წარმოდგენილი იყო სტუდენტების მცირე რაოდენობით და დასწრების კომპონენტის გაუქმება ხელს უშლიდა სალექციო პროცესს. ასევე პრაქტიკული მუშაობის პროცესისათვის მნიშვნელოვანი იყო თითოეული ლექცია და წარმოადგენდა წინაპირობას ყოველი მომდევნო ლექციისათვის. შესაბამისად, მათი მოსაზრებით დასწრება/აქტივობის შეფასება უნდა დარჩენილიყო სტუდენტების შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო გენგიურმა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებზე განაცხადა, რომ როდესაც კლასტერული აკრედიტაციისათვის მზადდებოდა სადოქტორო პროგრამა, დაწესებულება ორიენტირებული იყო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების კონკრეტულად და ლაკონურად ჩამოყალიბებაზე. დაწესებულება იზიარებდა, რომ ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანი იყო სადოქტორო საფეხურისათვის, ინტერნაციონალიზაციის ასპექტები გადმოცემული იყო პროგრამის

მიზნებში და სწავლის შედეგებში, თუმცა არ იყო ფორმულირებული ცალკე პუნქტის სახით. ექსპერტებისათვის ვიზიტის პერიოდში ნათელი იყო უნივერსიტეტის ორიენტირი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც გამოიხატებოდა დოქტორანტების საქმიანობაში, საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში მონაწილეობით და დოქტორანტების ნამუშევრების საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებების ხელშეწყობით. შესაბამისად, დაწესებულებისათვის არ წარმოადგენდა პრობლემას მოცემული რეკომენდაციის გაზიარება და მიზნებში ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ფორმულირების ჩამოყალიბება. ანალოგიურად დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში სიტყვა „ანალიზის“ ჩამატებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავი იყო, რომ შინაარსობრივად მიზნები პასუხობდა მოთხოვნებს და ითვალისწინებდა სტუდენტებისათვის ანალიტიკური უნარების და შედეგების გამომუშავებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო რჩევების სახით. რაც შეეხებოდა დასწრება/აქტივობის შეფასებისათვის განსაზღვრულ 15 ქულას, როგორც აღინიშნა წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით მოცემული შეფასება ამართლებდა და მცირერეიცხოვანი ჯგუფების სალექციო და სასემინარო აქტივობებზე დასწრების წახალისების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო გენგიურმა პირველი სტანდარტის 1.3 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და შეფასების მექანიზმების შემუშავების პროცესში განაცხადა, რომ კლასტერული აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში გამოკვეთილი იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის უპრეცედენტო ჩართულობა. სხვადასხვა ჯგუფებთან ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა შეხვედრები მიმართულებების წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან. თუმცა აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ შესაძლებელი იყო ინტერვიუების დროს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დასმული კითხვების ტერმინოლოგია იყო დამაბნეველი და ექსპერტებმა შესაძლოა დააფიქსირეს პასუხები, რომ პერსონალი სრულად არ იყო ჩართული პროცესებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო გენგიურმა მე-5 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პერსონალის გამოკითხვის შედეგების გაცნობას განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა სუსტ მხარეს, ხშირ შემთხვევაში გვიანდებოდა უკუკავშირის გაცნობა პერსონალისათვის მწირი ადამიანური რესურსიდან გამომდინარე. აღნიშნული რეკომენდაცია უბიძგებდა დაწესებულების ადმინისტრაციას უზრუნველეყოთ დამატებითი მხარდამჭერი მექანიზმები აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ნინო ღაღანიძემ განაცხადა, რომ მას სურდა მოესმინა განმარტება ექსპერტებისაგან და დაწესებულების წარმომადგენლებისაგან იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კლასტერში შემავალ პროგრამებში მოცემულ დამხმარე ლიტერატურის გავლენას სტუდენტის ქულაზე.

ექსპერტმა გიორგი ბერიძემ განაცხადა, რომ სილაბუსის შეფასების სისტემაში, ქულებში ასახული იყო რომ, სტუდენტი უმაღლეს შეფასებას მიიღებდა იმ შემთხვევაში თუ მას ათვისებული ექნებოდა როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურა. ექსპერტების მოსაზრებით დამხმარე ლიეტარტურას გავლენა არ უნდა მოეხდინა ქულაზე, ხოლო თუ ექნებოდა მოცემულ შემთხვევაში დამხმარე ლიტერატურა გადატანილი უნდა ყოფილიყო სავალდებულო ლიტერატურაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ ნამდვილად ერთ-ერთ უმაღლეს შეფასებაში შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალში მითითებული იყო, რომ სტუდენტს უმაღლეს დონეზე უნდა დაემუშავებინა სავალდებულო ლიტერატურა და

გაცნობოდა დამხმარე ლიტერატურას. დაწესებულებას შეეძლო ფორმულირებიდან ამოეღო დამხმარე ლიტერატურის პუნქტი, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ თუ სტუდენტი გადიოდა უმაღლეს შეფასებაზე ის ასევე უნდა გაცნობოდა დამხმარე ლიტერატურასაც.
საბჭოს წევრმა მამუკა ხუსკივაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში ინტერნაციონალიზაციის ფორმულირების დამატებას ამავე შინაარსით რჩევების კატეგორიაში წარმოდგენილი იყო სამაგისტრო პროგრამისათვის. მას სურდა ექსპერტებს განემარტათ თუ რატომ განისაზღვრა აღნიშნული საკითხი სადოქტორო პროგრამისათვის რეკომენდაციის სახით და სამაგისტრო პროგრამისათვის რჩევის სახით.
ექსპერტმა სარა მონიკა ბენეტმა განაცხადა, რომ ინტერნაციონალიზაცია სადოქტორო პროგრამისათვის ატარებდა სასიცოცხლო მნიშვნელობას. შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, თუმცა ანალოგიური ასპექტი სამაგისტრო პროგრამისათვის გადმოცემული იყო რჩევის სახით.
საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ მიმართა დაწესებულებას და განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში არ ჩანდა ითვალისწინებდა თუ არა დაწესებულება პერსონალის და დოქტორანტების კვლევითი მუშაობისათვის, საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წამახალისებელ ღონისძიებებს, თანადაფინანსების ან სრულად დაფინანსების ხარჯებს. ასევე საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში გაწერილი იყო გასვლითი პრაქტიკა და მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალურ-კულტურულ და სხვა ძეგლებს. ბიუჯეტში არ იყო ნაჩვენები, როგორ ხდებოდა აღნიშნული პრაქტიკის ხარჯების მართვა. მას აინტერესებდა აღნიშნული საველე პრაქტიკების ორგანიზება ხდებოდა დაწესებულების ხელშეწყობით თუ სტუდენტების თვითდაფინანსებით. ასევე სამაგისტრო პროგრამაზე გათვალისწინებული იყო პრაქტიკა სხვადასხვა დაწესებულებებში. წარმოდგენილი მემორანდუმები არ ასახვდა სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ვადებს. მან მიმართა დაწესებულებას განემარტა მის მიერ დაფიქსირებული საკითხები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ დოქტორანტების საერთაშორისო აქტივობების დაფინანსებისათვის უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰქონდა თანხა. კვლევითი საქმიანობისათვის უცხოეთში ხანგრძლივად გამგზავრების შემთხვევაში დოქტორანტები მონაწილეობდნენ საგრანტო კონკურსებში. მცირე ბიუჯეტიანი აქტივობები ხორციელდებოდა დაწესებულების დაფინანსებით. მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეზე დაწესებულების ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა სხვადასხვა ექსპედიციები. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდებოდა უნივერსიტეტის დაფინანსებით და სტუდენტები არ იხდიდნენ დამატებით გადასახადს. ველზე გამგზარებისათვის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ დაწესებულებას გადასცა მიკროავტობუსი. ასევე პრაქტიკის კომპონენტის თვალსაზრისით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ორი მემორანდუმი სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის. მემორანდუმებში მითითებულ მუხლებში გაწერილი იყო სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. მემორანდუმის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო შესაბამისი სილაბუსით, რომელიც წარმოადგენდა დოკუმენტის დანართს. პრაქტიკის ხანგრძლივობა გახლდათ ერთი სემესტრი, ხოლო სტუდენტების რაოდენობა ყოველ წელს განისაზღვრებოდა მოლაპარაკების საფუძველზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 16:06

საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. თუმცა 4,3 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება. 2.4. კომპონენტში არსებული რეკომენდაციები გადავიდა რჩევაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია და თეორია)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია და თეორია)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა, პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებაში.
- რეკომენდებულია, უსდ-მ ამოიღოს დასწრება/აქტივობაზე გამოყოფილი 15 ქულა.
- რეკომენდებულია, პროგრამების მიხედვით დეტალური ბიუჯეტების წარმოდგენა სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება აკადემიური პერსონალის (სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, ასევე დოქტორანტების) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარჯები.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანად მუშაობის მიზნით რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა თვითშეფასების პროცესში.

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის ინფორმირება (წერილობითი უკუკავშირის საშუალებით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასების შემთხვევაში) და ამ პროცესისთვის ფორმალური სახის მიცემა.

რჩევები:

- სასურველია, რომ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მოხდეს ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და ანთროპოლოგიის საკითხებზე მეტი აქცენტირება.
- სასურველია , „მეწარმეობა კულტურის სფეროში“ კურსის მსგავსი კურსის/საკითხების ინტეგრირება საბაკალავრო პროგრამაში, სტუდენტებისთვის თვითდასაქმებისა და სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით.
- სასურველია, საბაკალავრო პროგრამის გადაიხედოს შეფასების კომპონენტები და და მათზე გამოყოფილი ქულები გაიზარდოს და უფრო დეტალური გახდეს.
- სასურველია, კლასტერში მოცემული პროგრამებისთვის აკადემიური წერის არსებული კურსების განახლება/მოდიფიცირება, სტუდენტების წერითი უნარების გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით, მათი სასწავლო დონის შესაბამისად.
- სასურველია, საკვალიფიკაციო ნაშრომებში გაუმჯობესდეს საერთაშორისოდ აღიარებული აკადემიური წერის სტილის გამოყენების ტექნიკა.
- სასურველია, უსდ-მ განიხილოს კლასტერში 21-ე საუკუნის ქართულ და საერთაშორისო ხელოვნებასთან დაკავშირებული უახლესი აქტუალური თემების ჩართვა.
- მიზანშეწონილია, რომ ხელოვნების ისტორიისა და თეორის კლასტერმა განავითაროს ურთიერთკავშირი კინოსა და თეატრის დისციპლინებთან.
- მიზანშეწონილია, რომ „პრაქტიკის დღიურის შაბლონი“ გადაიხედოს კლასტერისთვის, რათა მოიცავდეს მასპინძელი ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპებს.
- მიზანშეწონილია, რომ ფაკულტეტმა ჩართოს ორგანიზაციების უფრო ფართო სპექტრი, როგორც პრაქტიკის პროვაიდერები, როგორიცაა კულტურული არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელოვნებასთან და კულტურასთან დაკავშირებული კერძო კომპანიები, თანამედროვე ხელოვნების გალერეები და საგამოფენო დარბაზები, რაც თავის მხრივ, გაამრავალფეროვნებს სტუდენტების უნარებს და შესაბამისად, მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობებს.
- სასურველია, კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო კონფერენციისა და პუბლიკაციების ფონზე, უნივერსიტეტმა მიმართოს ძალისხმევას საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის გაზრდისკენ.
- სასურველია , დაწესებულებამ გააძლიეროს წვდომა უახლეს სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ლიტერატურაზე;
- უნივერსიტეტს ვურჩევთ, ბიბლიოთეკა გახდეს უფრო მოსახერხებელი და კომფორტული ადგილი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის და უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისი, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო კაბინები და ონლაინ დაჯავშნის სისტემა.

საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. თუმცა 4,3 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება. 2.2 კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის (ქართული ხელოვნება - კვლევა და დაცვა)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის (ქართული ხელოვნება - კვლევა და დაცვა)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ანალიზის კომპეტენცია.
- რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმდეს მემორანდუმი/ხელშეკრულება, რომელშიც გათავალისწინებული იქნება პრაქტიკის ვადები და სტუდენთა რაოდენობა.
- რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა, პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებაში.
- რეკომენდებულია, უსდ-მ ამოიღოს დასწრება/აქტივობაზე გამოყოფილი 15 ქულა.
- რეკომენდებულია, პროგრამების მიხედვით დეტალური ბიუჯეტების წარმოდგენა სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება აკადემიური პერსონალის (სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, ასევე დოქტორანტების) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარჯები.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანად მუშაობის მიზნით, რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა თვითშეფასების პროცესში.
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის ინფორმირება (წერილობითი უკუკავშირის საშუალებით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასების შემთხვევაში) და ამ პროცესისთვის ფორმალური სახის მიცემა.

რჩევები:

- სასურველია მე-2 სწავლის შედეგის ოპტიმიზაცია/მეტი სიცხადე.
- სასურველია, დაწესებულებამ აქტიურად გაუწიოს პოპულარიზაცია სამაგისტრო პროგრამას მეტი სტუდენტის მოსაზიდად.
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის წერითი დავალებების გრაფები და მათზე გამოყოფილი ქულები გაიზარდოს და უფრო დეტალური გახდეს.
- სასურველია, კლასტერში მოცემული პროგრამებისთვის აკადემიური წერის არსებული კურსების განახლება/მოდიფიცირება, სტუდენტების წერითი უნარების გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით, მათი სასწავლო დონის შესაბამისად.
- სასურველია, საკვალიფიკაციო ნაშრომებში გაუმჯობესდეს საერთაშორისოდ აღიარებული აკადემიური წერის სტილის გამოყენების ტექნიკა.
- სასურველია, უსდ-მ განიხილოს კლასტერში 21-ე საუკუნის ქართულ და საერთაშორისო ხელოვნებასთან დაკავშირებული უახლესი აქტუალური თემების ჩართვა.
- მიზანშეწონილია, რომ ხელოვნების ისტორიისა და თეორის კლასტერმა განავითაროს ურთიერთკავშირი კინოსა და თეატრის დისციპლინებთან.
- მიზანშეწონილია, რომ „პრაქტიკის დღიურის შაბლონი“ გადაიხედოს კლასტერისთვის, რათა მოიცავდეს მასპინძელი ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპებს.
- მიზანშეწონილია, რომ ფაკულტეტმა ჩართოს ორგანიზაციების უფრო ფართო სპექტრი, როგორც პრაქტიკის პროვაიდერები, როგორიცაა კულტურული არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელოვნებასთან და კულტურასთან დაკავშირებული კერძო კომპანიები, თანამედროვე ხელოვნების გალერეები და საგამოფენო დარბაზები, რაც თავის მხრივ, გაამრავალფეროვნებს სტუდენტების უნარებს და შესაბამისად, მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობებს.
- სასურველია, კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო კონფერენციისა და პუბლიკაციების ფონზე, უნივერსიტეტმა მიმართოს ძალისხმევას საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის გაზრდისკენ.
- სასურველია , დაწესებულებამ გააძლიეროს წვდომა უახლეს სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ლიტერატურაზე
- უნივერსიტეტს ვურჩევთ, ბიბლიოთეკა გახდეს უფრო მოსახერხებელი და კომფორტული ადგილი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის და უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისი, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო კაბინები და ონლაინ დაჯავშნის სისტემა.

საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. თუმცა 4,3 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მიზნებში გამოიკვეთოს/აისახოს ინტერნაციონალიზაცია.
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ინტერნაციონალიზაციის კოპონენტი, პროგრამის მიზნის შესაბამისად.
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში გამოიკვეთოს კვლევის/ების ინტერდისციპლინურობა.
- რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა, პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებაში.
- რეკომენდებულია, უსდ-მ ამოიღოს დასწრება/აქტივობაზე გამოყოფილი 15 ქულა.
- რეკომენდაცია დაემატა) რეკომენდებულია, პროგრამების მიხედვით დეტალური ბიუჯეტების წარმოდგენა სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება აკადემიური პერსონალის (სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, ასევე დოქტორანტების) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარჯები.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანად მუშაობის მიზნით, რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა თვითშეფასების პროცესში.
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის ინფორმირება (წერილობითი უკუკავშირის საშუალებით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასების შემთხვევაში) და ამ პროცესისთვის ფორმალური სახის მიცემა.

რჩევები:

- სასურველია, დოქტორანტობის კანდიდატებთან გასაუბრებამდე შემოწმდეს წარმოდგენილი სამეცნიერ-კვლევითი რეფერატები.

- სასურველიაია, რომ დაწესებულებამ აქტიურად გაუწიოს პოპულარიზაცია სადოქტორო პროგრამას მეტი სტუდენტის მოსაზიდად.
- სასურველია, დოქტორანტების საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერით, აგრეთვე მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებით.
- სასურველია, კლასტერში მოცემული პროგრამებისთვის აკადემიური წერის არსებული კურსების განახლება/მოდიფიცირება, სტუდენტების წერითი უნარების გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით, მათი სასწავლო დონის შესაბამისად.
- სასურველია, საკვალიფიკაციო ნაშრომებში გაუმჯობესდეს საერთაშორისოდ აღიარებული აკადემიური წერის სტილის გამოყენების ტექნიკა.
- სასურველია, უსდ-მ განიხილოს კლასტერში 21-ე საუკუნის ქართულ და საერთაშორისო ხელოვნებასთან დაკავშირებული უახლესი აქტუალური თემების ჩართვა.
- მიზანშეწონილია, რომ ხელოვნების ისტორიისა და თეორის კლასტერმა განავითაროს ურთიერთკავშირი კინოსა და თეატრის დისციპლინებთან.
- 2.2.1 მიზანშეწონილია, რომ „პრაქტიკის დღიურის შაბლონი“ გადაიხედოს კლასტერისთვის, რათა მოიცავდეს მასპინძელი ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპებს.
- მიზანშეწონილია, რომ ფაკულტეტმა ჩართოს ორგანიზაციების უფრო ფართო სპექტრი, როგორც პრაქტიკის პროვაიდერები, როგორიცაა კულტურული არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელოვნებასთან და კულტურასთან დაკავშირებული კერძო კომპანიები, თანამედროვე ხელოვნების გალერეები და საგამოფენო დარბაზები, რაც თავის მხრივ, გაამრავალფეროვნებს სტუდენტების უნარებს და შესაბამისად, მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობებს.
- სასურველია, კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო კონფერენციისა პუბლიკაციების ფონზე, უნივერსიტეტმა მიმართოს ძალისხმევას საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის გაზრდისკენ.
- სასურველია , დაწესებულებამ გააძლიეროს წვდომა უახლეს სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ლიტერატურაზე
- უნივერსიტეტს ვურჩევთ, ბიბლიოთეკა გახდეს უფრო მოსახერხებელი და კომფორტული ადგილი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის და უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისი, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო კაბინები და ონლაინ დაჯავშნის სისტემა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის "სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სურსათის უვნებლობა Food safety
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სურსათის უვნებლობის მაგისტრი Master of food safety
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სურსათის გადამუშავება 0721
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. საქართველოს, 0912, დავით გურამიშვილის გამზ. 17, თბილისი, მე-11 კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ და მარინე მაისურაძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა დარიო კომპანიონემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის მიზნები აღწერილი უნდა ყოფილიყო უფრო ნათლად. აღნიშნული უნდა ყოფილიყო დაწესებულების პოლიტიკა ფაკულტეტის ფარგლებში პროგრამის განვითარებაზე. მოცემული ასპექტები არ იყო აღწერილი სპეციფიკურად, რაც ექსპერტების მოსაზრებით იყო ძალიან მნიშვნელოვანი. მაგალითისათვის აღინიშნა, რომ რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაჟღერდა, რომ დაგეგმილი იყო საცდელი პროექტები ღვინის ტექნოლოგიის და ყველის წარმოების მიმართულებით. მოცემული ინფორმაცია არ იყო ასახული დოკუმენტაციაში, რაც მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ აკრედიტაციის პროცესისათვის არამედ პროგრამისათვის და ეს ინფორმაცია დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო პროგრამაშიც. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგის ლექსიკური ფორმულირების შეცვლას. წარმოდგენილი იყო ფორმულირება „ატარებს ეფექტურ სახელმწიფო კონტროლს, კონსულტაციებს და აუდიტს“. ექსპერტების მოსაზრებით პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული სათანადო რაოდენობის საათები იმისათვის, რომ სტუდენტს ჰქონოდა შესაბამისი შედეგი, შესაბამისად რეკომენდირებული იყო უფრო რელევანტური ფორმულირების ჩამოყალიბება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა რამოდენიმე კურსისათვის წინაპირობების კორექტირებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ წერილში დაწესებულება ეთანხმებოდა რეკომენდაციას.
ექსპერტმა დარიო კომპანიონემ განაცხადა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია საბაზისო ლიტერატურის სასწავლო კურსის „სურსათის სენსორული ანალიზის“ შინაარსთან მორგებაზე და და სათანადო სალექციო მასალის უზრუნველყოფაზე. აღნიშნულ შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანი იყო სათანადო ლიტერატურაზე წვდომა საბიბლიოთეკო სივრცეებიდან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა თემის ხელმძღვანელების და მაგისტრატურის სტუდენტების თანაფარდობის განსაზღვრას. ვიზიტის დროს ექსპერტებს ეცნობათ, რომ პროგრამაზე გათვალისწინებული იყო 20 სტუდენტის მიღება, თუმცა ინტერვიუს დროს გაჟღერდა, რომ უნივერსიტეტი მზად იყო მოთხოვნის შემთხვევაში მიეღო უფრო მეტი სტუდენტი. ასევე შესაძლებელი იქნებოდა კვალიფიციური კადრების მოწვევაც. მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტებმა მიიჩნიეს რომ თანაფარდობის განსაზღვრის წესები ჩამოყალიბებული და განმარტებული უნდა ყოფილიყო ნათლად შესაბამის დოკუმენტაციაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იყო „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამა, თუმცა ფაკულტეტი ახორციელებდა „მეცხოვლეობის“, „ვეტერინარიის“, „მევენახეობა/ენოლოგიის“ და „სასურსათო ტექნლოგიების“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ლოგიკურად იყო დამატებული აღნიშნული მიმართულებაც. პროგრამა მისი საფეხურით და მიზნებით ჯდებოდა ფაკულტეტის და მისი განვითარების სტრატეგიაში. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ წარმომადგენლები სახელმწიფო სტრუქტურებიდან და აკადემიური წრეებიდან. განიხილებოდა პროგრამის მნიშვნელობა და საჭიროება სურსათის უვნებლობასთან მიმართებაში, სპეციალისტების აუცილებლობა და დეფიციტი. პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამის მიზნები აღწერილი იყო ძალიან ნათლად. დეტალურად იყო ჩამოთვლილი თუ რას მოიცავდა მიმართულება სამაგისტრო საფეხურზე და არ ტოვებდა ორაზროვან შთაბეჭდილებას სპეციალისტებში და პროგრამით დაინტერესებულ პირებში. დასკვნის აღწერილობით ნაწილში მითითებული იყო, რომ პროგრამის მიზნები ასახავდა სილაბუსებში მითითებულ სწავლის

შედეგებს და არა პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსების სწავლის შედეგები ქმნიდნენ დარგობრივ სწავლის შედეგს. მისი მოსაზრებით შეუძლებელი იყო პროგრამის მიზნების კიდევ უფრო ნათლად ჩამოყალიბება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ დასკვნის მიხედვით დადასტურებული უნდა ყოფილიყო პროგრამის როლი შრომის ბაზართან, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებასთან და ფაკულტეტთან მიმართებით და წარმოდგენილი ყოფილიყო უფრო ნათლად. მან აღნიშნა, რომ უვნებელი სურსათი ნიშნავდა ცხოველისგან და მცენარისგან მიღებულ პროდუქტს. თუ კი რამე არსებობდა საჭმელის და სასმელის კუთხით ყველაფერი იყო წარმოდგენილი ფაკულტეტზე, შესაბამისად პროგრამის ადგილი ფაკულტეტის სტრატეგიაში არ იწვევდა კითხვის ნიშნებს. რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციას, ფაკულტეტზე ხორციელდებოდა მეღვინეობა/ენოლოგიის და სურსათის უვნებლობის პროგრამები ფრანგულ და იტალიურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით და ფაკულტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სტრატეგიულად პროგრამების ინტერნაციონალიზაციას. რაც შეეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას, დოკუმენტაციაში მეშვიდე დანართის სახით წარმოდგენილი იყო კვლევის დოკუმენტი ქართულ და ინგლისურ ენაზე. შრომის ბაზრის კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი ასევე ამერიკელი სპეციალისტები. კვლევა განხორციელდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. კვლევაში გამოტანილი იყო არა მხოლოდ შედეგები და ანალიზი, არამედ ჩამოთვლილი იყო ფოკუს ჯგუფები რომლებიც გამოიკითხნენ სხვადასხვა ორგანიზაციების მიხედვით. შესაბამისად, დაწესებულებას პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ჰქონდა წინააღმდეგობის განცდა და მიაჩნდა, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებული იყო სრულყოფილად და თანხმობაში მოდიოდა როგორც შრომის ბაზართან ასევე ინტერნაციონალიზაციის საკითხებთან. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას მეთოდოლოგიასა და ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობასთან მიმართებით, დაწესებულება მიიჩნევდა რომ აღნიშნული მიმართულებით უნდა გადადგმულიყო ნაბიჯები. თუმცა, რაოდენობასთან დაკავშირებით ფაკულტეტზე სხვა პროგრამის ფარგლებშიც არ შექმნილა პრობლემა, დაწესებულება ზრუნავდა აღნიშნულ საკითხზე და უმჯობესი იქნებოდა თუ რეკომენდაციას ექნებოდა რჩევის სტატუსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლაფერაშვილმა განაცხადა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა საქართველოს რეალობაში გახლდათ პირველი პროგრამა სურსათის უვნებლობის მიმართულებით. პროგრამის შემუშავებაზე მუშაობის დროს მოძიებულ იქნა არაერთი ევროპული პროგრამის ანალოგი და შეძლებისადაგვარად გათვალისწინებული იქნა საუკეთესო პრაქტიკები თითოეული პროგრამიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სურსათის უვნებლობის სფეროში მას ჰქონდა საკმაოდ დიდი პრაქტიკული, თეორიული და საკანონმდებლო გამოცდილება. მან ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგის რეფორმულირებას საათებისა და სასწავლო მასალის შინაარსის მიხედვით. კანონმდებლობა რომელიც შესაბამისი იყო სურსათის უვნებლობის კუთხით ევროკავშირის რეგულაციებთან განსაზღვარვდა აუდიტის შინაარს და გულისხმობდა სისტემურ და დამოუკიდებელ შემოწმებას თუ რამდენად სრულდებოდა დასახული ამოცანები დასახული მიზნის მისაღწევად. შესაბამისად სწავლის შედეგეში მითითება იმისა, რომ სტუდენტი შეძლებდა აუდიტის განხორციელებას გულისხმობდა, რომ მას შეეძლებოდა განეხორციელებინა აუდიტი როგორც სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც გულისხმობდა ჰიგიენის კარგ პრაქტიკას და სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის პრაქტიკას. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევდა, რომ აღნიშნული სწავლის შედეგი შეესაბამებოდა როგორც შინაარს ასევე საკანონმდებლო მოთხოვნებს და საათობრივ დატვირთვას. პროგრამიდან გამომდინარე სტუდენტი სხვადასხვა საგნებიდან მიიღებდა მრავალმხრივ ცოდნას და გამოიმუშავებდა უნარებს იმისათვის რომ შესაძლებლობა ჰქონოდა განეხორციელებინა სწავლის შედეგებში გადმოცემული აქტივობები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლაფერაშვილმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა წინაპირობების კორექტირებას, „სენსორული ანალიზის“ და „სურსათის უვნებლობის სამრეწველო პრატქიკის“ კურსებისათვის განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში მზადდებოდა სალექციო კურსი. ასევე ექსპერტების მხრიდან დაფიქსირდა შენიშვნა ISO სტანდარტების გამოყენებასთან მიმართებით, რაც მითითებული იყო დამხმარე ლიტერატურაში. აღსანიშნავი იყო, რომ აღნიშნული სტანდარტები არ იყო ხელმისაწვდომი ყველასათვის ვინაიდან გახლდათ ფასიანი. შემუშავებული სალექციო კურსი, რომელიც ბეჭდური სახით მზად იქნებოდა პროგრამის ამოქმედების პერიოდისათვის მიეწოდებოდა დაინტერესებულ მკითხველს მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული იქნებოდა პირველი ქართული სახელმზღვანელო სენსორულ ანალიზთან დაკავშირებით და სგავსი სახელმძღვანელო საქართველოს მასშტაბით არ არსებობდა. ერთადერთი უნივერსიტეტი რომელსაც ჰქონდა სენსორული ანალიზის განხორციელების ლაბორატორიული რესურსი გახლდათ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ შესაძლოა ISO სტანდარტის შესახებ მომზადებული სახელმძღვანელო ეყრდნობოდა 2015 წლის მონაცემებს, თუმცა სტუდენტს დაინტერესების შემთხვევაში შეეძლო თავად მოეძიებინა განახლებული მონაცემები ან მიემართა მისთვის, ვინაიდან ის თავად გახლდათ სტანდარტიზაციის კომიტეტის წევრი და მისთვის ხელმისაწვდომი იყო სტანდარტებთან დაკავშირებული უახლესი მონაცემები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ლომიძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი იყო სტანდარტები და სალექციო მასალები, რომელიც მათ გადაეცათ და აღნიშნული გარემოება თავად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც იყო ასახული. როგორც აღინიშნა უკვე მზად იყო სალექციო კურსი, რომელსაც უნდა გაევლო გარკვეული საუნივერსიტეტო პროცედურიები რის შემდგომ მოხდებოდა მისი განთავსება დაწესებულების ელექტრონულ პორტალზე და ხელმისაწვდომი იქნებოდა სტუდენტებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული გამოწვევები ნამდვილად მოითხოვდა აღნიშნული პროგრამის არსებობას. ის კარგად გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას, პროგრამას და სილაბუსებს. პროგრამის მიზანში და შედეგებში მითითებული იყო, რომ სტუდენტს ექნებოდა არსებულ საჭირო ღონისძიებებთან დაკავშირებული სამართლებრივი საფუძვლების ცოდნა. მან გადახედა სილაბუსებს და კურიკულუმს და ვერ მოიძია ინფორმაცია თუ სად იყო ასახული სამართლებრივი საკითხების შესწავლა, რომლის საფუძველზეც უნდა ემოქმედა კურსდამთავრებულს და პირდაპირ ასახავდა მიზნის და შედეგების შესაბამისობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლაფერაშვილმა განაცხადა, რომ საკანონდებლო რეგულაციებთან დაკავშირებული საკითხები ისწავლებოდა საგანში „სურსათის უვნებლობის პოლიტიკა“. კურსი მოიცავდა ყველა ნორმატიულ აქტს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასევე მათ ჰქონდათ დინამიურობის ვალდებულება რაც გულისხმობდა საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების ასახვას. შესაბამისად კურსში ისწავლებოდა ყველა ის ნორმატიული აქტი, რომელსაც ეფუძნებოდა სურსათის უვნებლობა.
სხდომის თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძემ განაცხადა, რომ სწავლის შედეგების რუქაში არსებობდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით სტუდენტს უნდა გაეცნობიერებინა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმების და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები სურსათის უვნებლობის სფეროში. აღნიშნულ სწავლის შედეგეზე გადიოდა კურსი „სურსათის წარმოების ტექნოლოგია“. კურსის სილაბუსში საუბარი იყო ხილ-კენკროვან, ღვინის ტექნოლოგიაზე, არყის ტექნოლოგიაზე და ა.შ. მას აინტერესებდა რამდენად შესაძლებელი იყო აღნიშნული კურსით მითითებულ სწავლის შედეგეზე გასვლა. ასევე სწავლის მეოთხე შედეგი განმარტავდა, რომ სტუდენტს უნდა შესძლებოდა განესაზღვრა

სურსათის უვნებლობის ხარისხი, მართებული მენეჯმენტის ფორმა და ა.შ. აღნიშნულ სწავლის შედეგზე გადიოდა კურსი „სურსათის მიკრობიოლოგიური გაძლეიერება“. კურსში ისწავლებოდა მავნე მიკრო ორგანიზმები, ბიოლოგიური საფრთხეები და ა.შ. საინტერესო იყო რამდენად იყო კავშირში ხარისხის მართვის სისტემა მოცემულ კურსთან. ასევე ბევრ სილაბუსსში მითითებული იყო პრაქტიკა და ნაკლებად ლაბორატორიული სამუშაო. სხდომის თავმჯდომარეს აინტერესებდა თუ სად ხორციელდებოდა პრაქტიკული კომპონენტი. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს განემარტათ დაათვალიერეს თუ არა ექსპერტებმა აკრედიტაციის ვიზიტის დროს პრაქტიკის ობიექტები.

ექსპერტმა დარიო კომპანიონემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ადგილზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათავლიერა მატერიალური რესურსი, პრაქტიკის ობიექტები, ლაბორატორიები, ძირითადი და ფაკულეტეტის შენობები და მიიჩნიეს რომ პრაქტიკული და ლაბორატორიული ბაზები იყო საკმარისი, რელევანტური და დამაკმატ˜ყოფილებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლაფერაშვილმა განაცხადა, რომ პრაქტიკული სამუშაო ჰქონდა „სენსორული ანალიზის“ კურსს, ლაბორატორიული სამუშაოები ჰქონდა „სურსათის ქიმიის“ გაძლიერებულ კურსს და „მიკრობიოლოგიის“ კურსს. რაც შეეხებოდა საგანს რომელიც შეისწავლიდა სურსათის ტექნოლოგიას და სილაბუსში ჩაშლილი იყო სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინა აღნიშნული იყო აუცილებელი. მიღებულ კონტიგენტში მათ ჰყავდათ სტუდენტები, რომლებიც არ იცნობდნენ სურსათის წარმოების ტექნოლოგიებს, შესაბამისად მათ უნდა ჰქონოდათ წარმოდგენა სურსათის წარმოების ტექნოლოგიებზე იმისათვის რომ სამომავლოდ ემუშავათ სურსათის უვნებლობის პარამეტრების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე დაინტერესდა, თუ ის იქნებოდა მცემული პროგრამის სტუდენტი იმისათვის რომ მას გაეცნობიერებინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით თუ რა პარამეტრები იყო დაწესებული საქართველოსათვის სურსათის უვნებლობის კუთხით მას უნდა სცოდნოდა თუ არა წარმოების ტექნოლოგიები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლაფერაშვილმა განაცხადა, რომ თუ სტუდენტს არ ეცოდინებოდა ტექნოლოგიური პროცესი და მისი მართვის პრინციპები ვერ უზრუნველყოფდა უვნებლობის პარამეტრების რეგულირებას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რით განსხვავდებოდა აღნიშნული პროგრამა სურსათის ტექნოლოგიის პროგრამისაგან, რომელიც უკვე ხორციელდებოდა დაწესებულებაში. ასევე პროგრამაში სად იყო გამიჯნული ცოდნა სამართლებრივი რეგულაციების და მექანიზმების შესახებ რომელსაც შეისწავლიდა მაგისტრანტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლაფერაშვილმა განაცხადა, რომ ყველა საგანს ჰქონდა შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ყურადღებით აკვირდებოდა, თუ რა უნდა ყოფილიყო ასახული სწავლის შედეგების რუქაში. ასევე, პროგრამაში საუბარი იყო სურსათის უვნებლობის მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის გაცნობიერების დონეზე. ასევე, ჩარიცხულ სტუდენტებს მიუხედავად წინა გამოცდილებისა უნდა ჰქონოდათ შედეგთან მიმარტებით მონიშნული ზოგადი ცოდნა.

სხდომის თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძემ განაცხადა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, პროგრამის კვალიფიკაციის კოდი არის 0721, სურსათის გადამუშავების სფეროდან. აღნიშნული კოდის მიხედვით პროგრამა შეისწავლიდა საკვები და სასმელი პროდუქტების გადამუშავებას, წარმოებას, შეფუთვას და დისტრიბუციას თავისი მოწყობილობებით და პროცედურებით. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული იყო ძალიან კარგად, თუმცა საუბრობდა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრიც პრინციპებზე და გაცნობიერებაზე, ISO სტანდარტებზე და რეგულაციებზე, სურსათის უვნებლობის ხარისხზე და წარმოების მენეჯმენტზე. შესაბამისად საინტერესო იყო რამდენად შეესაბამებოდა პროგრამა სწავლის შედეგებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ მათ გამიკნული ჰქონდათ სურსათის გადამუშავების ნაწილი, პროგრამა ეფუძნებოდა საერთაშორისო

სტანდარტს, საეუკეთესო გამოცდილების შესწავლას, სურსათის უვნებლობის მქონე მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება იმ სტანდარტების და საკანონმდებლო მოთხოვნების გარეშე შეუძლებელი. რაც შეეხებოდა სასმელი და საკვები პროდუქტების გადამუშავებას და წარმოებას, აღნიშნული გახლდათ სფეროს შესწავლის ჩამონათვალი, თუმცა სპეციფიურად სურსათის უვნებლობის ნაწილში გამოყენებული იყო მაღალი ხარისხით ნორმებთან ბმაში. აღნიშნული კვალიფიკაციის სპეციალისტს აუცილებლად ესაჭიროებოდა გაძლიერებული მიკრობიოლოგიის კურსი და სხვა დარგობრივი კურსები. აღნიშნულის გარეშე სურსათის უვნებლობის მაგისტრის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება იქნებოდა შეუძლებელი.
ექსპერტმა ჟუჟა ხაჭაპურიძემ განაცხადა, რომ თუ კურსდამთავრებულს არ ექნებოდა წარმოების პროცესების და ეტაპების ცოდნა და ვერ შეძლებდა საწარმოში აუდიტის ჩატარებას. შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებული დარგობრივი საგნები იყო მნიშვნელოვანი. ასევე ლაბორატორიული ნაწილი ჩართული იყო თითქმის ყველა დარგობრივ საგანში. სამართლებრივი საფუძვლების ცოდნა იყო მნიშვნელოვანი ვინაიდან შესაძლებელი იყო სამართლებრივი საფუძვლები შეცვლილიყო და თუ სპეციალისტს ასეთ შემთხვევაში არ ეცოდინებოდა თუ რა პროცესები მიმდინარეობდა ტექნოლოგიურ დონეზე ვეღარ შეძლებდა ატქივობების განხორციელებას.
სხდომის თავმჯდომარე ნათია ზედგინიძე დაინტერესდა თუ რომელ საგნებში ისწავლებოდა სამართლებრივი საფუძვლები.
ექსპერტმა ჟუჟა ხაჭაპურიძემ განაცხადა, რომ სამართლებრივი საფუძვლები ისწავლებოდა „სურსათის უვნებლობის და ხარისხის მართვის პოლიტიკის“ კურსში. თუმცა მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციების ცოდნა არ იყო საკმარისი და სტუდენტს ასევე უნდა ჰქონოდა უნარები პროცესში გამოეყენებინა მიღებული ცოდნა. შესაბამისად, პროგრამაში ასევე უნდა ყოფილიყო ასახული თუ როგორ შეძლებდნენ სტუდენტები ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ბევრ კურსში არ იკვეთებოდა რომ სტუდენტი გამოიმუშავებდა აუდიტის უნარ-ჩვევებს, თუმცა ასახული იყო სწავლის შედეგში, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციაც გამომდინარეობდა ამ გარემოებიდან.
დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ლაფერაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც სწავლის შედეგში საუბარი იყო აუდიტზე არ იგულისხმებოდა აუდიტის უნარ-ჩვევები არამედ საუბარი იყო ზოგადად აუდიტზე და მისი ჩატარების პროცესზე. თუ როგორ უნდა გაეცა რეკომენდაცია ბიზნეს - ოპერატორისათვის აღნიშნული განსაზღვრული იყო კანონმდებლობით. ასევე თუ სპეციალისტს არ ექნებოდა წარმოდგენა წარმოების ტექნოლოგიებზე ის ვერ შეძლებდა შესაბამისი სისტემების დანერგვას, მის გამოყენებას და შესაბამისად დაარღვევდა კანონს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:17
დასრულების დრო: 17:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დაკენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებისა და შეფასების პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო და აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მერვე პუნქტის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამის შეფასებაში ჩართულიყო დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტები, საბჭოს სხდომის ზეპირ მოსმენაზე სათათბირო ხმის უფლებით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.09.2021, №906387
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0111 განათლების მეცნიერება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ., №59; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №2, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტი, ზაქარია ქიტიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან განაცხადა, რომ გაცემული იყო 16 რეკომენდაცია, რომელის ნაწილიც დაწესებულებამ გაითვალისწინა. თუმცა არის რიგი საკითხებისა, რომელთა მიმართებითაც მას კითხვები დარჩა. მან 2021 წლის 13 სექტემბრის № 906387 გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულ მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით (რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იქნას ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსების შესაბამისად.) განაცხადა, რომ ამ კუთხით წარმოების პროცესის თავისებულებებიდან გამომდინარე ვერ შეფასდა, რამდენად გაითავალისწინა დაწესებულებამ ეს საკითხი. ასევე, მის მიერ ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა მე-2 რეკომენდაცია - . „*რეკ ომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კურიკულუმში წარმოდგენილი ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამის დოკუმენტთან*“ - ამ მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ მტკიცებულება, თუმცა ეს რეკომენდაცია ითვალისწინებდა სულ სხვა საკითხს, საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია არ არის ბოლომდე გაგებული, კერძოდ, შენიშვნა მიემართებოდა სწავლის შედეგების შეფასების განსხვავებულ მეთოდოლოგიას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტსა და კურიკულუმში მოცემულ სწავლის შედეგების შეფასების სქემას შორის. სწორედ ამ 2 ცვლადს შორის არაკორელაციურ ხასიათზე მიანიშნებდა საბჭო, რაც წარმოდგენილი მასალიდან არ დასტურდება და არც პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ გაწერილი.
რაც შეეხება ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში არსებულ მე-4 რეკომენდაციას (რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ შინაარსი აღნიშნული კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისი თემატიკა შეირჩეს იმგვარად, რომ სტუდენტებს მიეცეთ ადამიანური რესუსრების მართვის განათლების კონტექსტში გააზრების შესაძლებლობა), მან განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის ფარგლებში პროგრამაზე მომუშავე აკადემიურ ჯგუფს წარმოდგენილი აქვს პოზიცია, რომლის მიხედვით, აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში „თემების განხილვისას, სწავლების პროცესში გამოყენებული მაგალითები, აგრეთვე სიტუაციური ამოცანები და როლური თამაშები სრულად არის მორგებული განათლების სფეროზე“ თუმცა თავად ლიტერატურის ჩამონათვალში ისევ არ ფიქსირდება განათლებაში რესურსების მართვასთან დაკავშირებული რომელიმე აქტუალური სახელმძღვანელო. ექსპერტის მოსაზრებით, მართალია, ზეპირი „ქეისები“ და როლური თამაშები საინტერესო სამუშაოა მიზნის მისაღწევად, თუმცა სასურველი იქნება, თუნდაც დამატებით ლიტერატურაში მიეთითოს მსგავსი შინაარსის მასალები. ან, თუნდაც, შეიქმნას და დოკუმენტის სახე მიეცეს დარგთან დაკავშირებულ სიტუაციობრივი ამოცანების მასალათა კრებულს, რომელიც სამომავლოდ წაადგება კურსის განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევის მნიშვნელოვანი ბერკეტიც გახდება. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა.

ექსპერტმა, ზაქარია ქიტიაშვილმა ყურადღება გაამახვილა ასევე მე-8 რეკომენდაციაზე (რეკომენდებულია, გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსის სილაბუსები, კურსის ფარგლებში შეთავაზებული თემების გადაფარვის გამორიცხვის მიზნით და განისაზღვროს რელევანტური მოცულობის თემატიკა) და განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ, პროგრამის სამუშაო ჯგუფი განმარტავს, რომ მითითებული საგნების ფარგლებში ჩასწორდა თემატური გადაფარვები, ხოლო ზოგიერთი ავტორის შემთხვევაში საკითხი სხვადასხვა პრიზმიდან განიხილება და არ არის იგივეობრივი. რამდენადაც აღნიშნული მოცემულობა გადამოწმდა და აბსოლუტურად მისაღებია ექსპერტისთვის, მისი მოსაზრებით, ისევ ღიადაა დარჩენილი სხვადასხვა საგანში მითითებული ლიტერატურის რელევაციის საკითხი, რადგან წარმოდგენილი სილაბუსებით არ ხერხდება სალექციო-სასემინარო მასალისა და სავალდებული ლიტერატურის დადარების შესაძლებლობა, კერძოდ რა მასალის მომზადება უწევს სტუდენტს მითითებული ლიტერატურიდან და რამდენად რელევანტურია ეს დატვირთვა ისე ღიად რჩება, შესაბამისად რეკომნედაციის შესრულებაც ნაწილობრივ შეფასდა.
გადაწყვეტილებაში არსებული მე-16 რეკომენდაციის შესახებ (რეკომენდებულია პროგრამის დადარება ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით) ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ შემოთავაზებულია დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ამ პროგრამასა და სხვა მსგავს პროგრამებში არსებული საგნობრივი ჩამონათვალი. სხვა ტიპის ანალიტიკური, შეპირისპირებითი ნარატიული არგუმენტაცია ამ ეტაპზე არ არის მოწოდებული. აღნიშნულ დოკუმენტში არის მნიშვნელოვანი უზუსტობები, რომელთა ხასიათი ნამდვილად ვერ მიემართება პროგრამის მდგრადობის პერსპექტივას. ასე მაგალითად, ანალოგურ საგნებადაა გამოტანილი „პროფესიული განვითარების თავისებურებები და ეთიკა“ და თსუ-ის პროგრამაში მოქმედი საგანი „საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა“. ამ ორ საგანს ერთმანეთთან მხოლოდ სიტყვა პროფესიული აკავშირებს, თუმცა შინაარსობრივად დიამეტრალურად განსხვავებული მიზნებისა და შედეგებისაა. რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა იაგორ ბალანჩივაძემ განაცხადა, რომ ერთი წლის წინ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა დადარების დოკუმენტი, დოკუმენტში ნამდვილად ფიქსირდებოდა ექსპერტის მიერ აღნიშნული ხარვეზი, რომელიც შემდგომ გასწორდა. ასევე დაწესებულებამ შეცვალა შედეგების შეფასების სქემა, დაიხვეწა შეფასების კრიტერიუმები და გაიგზავნა ცენტრში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო რამოდენიმე სილაბუსი სადაც სხვადასხვა ფორმები იყო მიღებული სპეციფიკიდან გამომდინარე. გათვალისწინებული იყო თეორიული საკითხი და დახურული ტესტი. რაც შეეხებოდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რიდერის შემუშავება იყო ბოლო ეტაპზე, რომელიც დამტკიცდებოდა თებერვლის შუა რიცხვებისათვის. აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ ქართული ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობდა. რიდერი დაკომპლექტებული იქნებოდა ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად თეორიული მასალით და სიმლუაციური ქეისებით. ასევე რეკომენდაციის შესაბამისად შეიცვალა ლიტერატურა და დაემატა სახელმძღვანელო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:08
დასრულების დრო: 18:19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -15

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ იქნე მიღებული ცნობად. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, 60 დღის თავზე განახორციელონ მონიტორინგი.

4. მეოთხე საკითხი:შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში - "ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბრიტანეთის კვლევები British Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.08.2022, №952866
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი Master of British Studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 ინტერდისციპლინური (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა)
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, 0131, ვეფხისტყაოსნის ქ.92, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომას არ ესწრებოდა ექსპერტი, თუმცა საბჭოს წევრებს შესწავლილი ჰქონდათ დოკუმენტაცია, დასკვნაში ასახული რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა ყველა რეკომენდაცია და შესაძლებელი იყო საკითხის განხილვა ექსპერტის მონაწილეობის გარეშე. მან სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა განაცხადა, რომ წინა წელს საბჭოს მიერ როგორც კი იქნა გაცემული რეკომენდაციები, დაწესებულება დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით. ანგარიში ასევე ასახავდა პრაქტიკაში გამოვლენილი საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციასაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა ანა დემეტრეაშვილმა განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რჩევა და რეკომენდაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო:18:26

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში „ბრიტანეთის კვლევების“ ინგსლიურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნა მიღებული შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში „ბრიტანეთის კვლევების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დასრულდა 18:30 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია